დავიბრუნოთ ფეხბურთი

შიდა ჩემპიონატის პოპულარიზაციის კამპანია

სიტუაციის ანალიზი

საქართველოს მოსახლეობის 88% დაინტერესებულია ფეხბურთით, თუმცა ქართული კლუბების თამაშებზე მათი მხოლოდ 1% -ია, ნამყოფი.
სიტუაცია განსაკუთრებით მძიმე თბილისშია.
ყალიბდება ახალი პრო ლიგა, რომლის ფარგლებშიც მნიშვნეოვანი ცვლილებები იგეგმება.

მიზნიბრივი აუდიტორია

პირველადი: 16-40, ცხოვრობს თბილისში. ჩვევაში გაუჯდა ცინიზმი ქართული ფეხბურთსა და საფეხბურთო კლუბების მიმართ.

მეორადი: 16-40, ცხოვრობს რეგიონებში.

კამპანიის მიზანი

უნიკლური მაყურებლების რაოდენობა გაიზარდოს მნიმუმ 150000-მდე.

> გავაერთიანოთ ფეხბურთის მოყვარულები ემოციური CAUSE-ის გარშემო.

CAUSE

იგეგმება დინამო არენის დემონტაჟი და მის ადგილას სავაჭრო კომპლექსის - დინამო მოლის აგება.

გამოხმაურება

ვეტერანი ფეხბურთელები, კომენტატორები, პოლიტიკოსები, ბლოგერები და რიგითი მოქალაქეები ერთხმად უერთდებიან პროტესტს.

ონლაინ პეტიცია: “დავიბრუნოთ დინამო”

Like

ფეისბუქ გვერდი: “დავიბრუნოთ დინამო”

“ დინამო, დინამო, დინამო

- ჩაიწერება დინამოს ჰიმნის თანამედროვე ქავერი ამ მოვლენაზე მორგებული ტექსტით.
- “ყველაფერი ახლა წყდება,
  გამარჯვების ჟამი დგება,
  დავიბრუნოთ დინამო!”
- ინტერნეტით გავრცელდება ჰიმნის მუსიკალური ვიდეო, რომელიც დასრულდება ინფორმაციით საპროტესტო აქციაზე.
- მესიჯი: “დავიბრუნოთ დინამო, გავავსოთ სტადიონი!”
- სიმღერა და საპროტესტო მოწოდება განთავსდება რადიოშიც.

გავავსოთ სტადიონი

- დანიშნულ დღეს პროტესტი მონაწილენი სინამოს სტადიონზე შეიკრიბებიან.
- შესვლისას გადაეცემათ სიმბოლური ბილეთები:1,2,54549, და ა.შ.
- აუდიტორიის გართობაზე იზრუნებს ჰიმნის ავტორი ბენდი.
- სტადიონის გავსების შემდეგ სცენაზე გამოვა პრო ლიგის ყველა საფეხბურთო კლუბი.
- დიდ ეკრანზე ჩაირთვება ფეხბურთელების ვიდეო მესიჯი.

დავიბრუნოთ ფეხბურთი

“მადლობა რომ აქ ხართ!
დროა 54549-ვეს სიმართლე გითხრათ.
დინამოს სტადიონს არაფერი ემუქრება. ის დგას სადაც იდგა, და მომავალშიც იდგება.
აქ თამაშს კიდევ არაერთი თაობა გააგრძელებს.
მაშინ აქ რატომ ხართ?
იმიტომ, რომ დარწმუნდეთ.. თუ ერთად დავდგებით, ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია.
თუ თქვენ შეგიძლიათ გაავსოთ საქართველოს ყველაზე დიდი სტადიონი ფეხბურთის მხარდასაჭერად, თქვენ საქართველოს ყველა სტადიონის გავსება შეგიძლიათ!
თქვენი მხარდაჭერით ჩვენც შევძლებთ ვიყოთ ისეთები, როგორსაც თქვენ იმსახურებთ.
ჩვენ ერთად შეგვიძლია დავიბრუნოთ ფეხბურთი!
გავავსოთ სტადიონი
თბილისის დინამოსთვის,
ქუთაისის ტორპედოსთვის,
(ათივე კლუბის ჩამონათვალი)
საქართველოს ახალი პრო ლიგის ჩემპიონატი იწყება (თარიღი)-დან.

გავავსოთ სტადიონი

ქუჩებში გამოჩნდება ბილბორდები მესიჯებით: “დავიბრუნოთ ფეხბურთი” “გავავსოთ სტადიონი”, რეგიონების მიხედვით ვიზუალები ადგილობრივი კლუბების ფერებში შეიცვლება.

ონლაინ პლატფორმები

ვებ პორტალი და მობილური აპლიკაცია:

შეიქმნება პრო ლიგის ვებ-პორტალი და მობილური აპლიკაცია ფანებისთვის რელევანტური ინფორმაციით. აპლიკაციის გამოყენებით შესაძლებელია ბილეთების შეძენა ონლაინ, საიდანაც გაიგებ მერამდენე ბილეთი შეიძინე და შეძლებ დააშეარო ფეისბუქით პროფილის სურათზე ვოთერმარკად.



ფეისბუქ გვერდი:

პრო ლიგის ფეისბუქ გვერდიდან გავრცლდება ინფორმაცია სხვადასხვა შეხვედრების შესახებ, თამაშების შემდეგ დაიდება საუკეთესო მომენტები, ექპერტების ანალიზი და ა.შ.

ონლაინ ინტეგრაცია:

ონლაინ ტოტალიზატორებზე სეზონზე დაემატება ფსონები იმაზე მოახერხებენ თუ არა გულშემტკივრები სტადიონის გავსებას, რაც პროცესს დამატებით აზარტს შეძენს.

შედეგად

- ამ მასშტაბის მედია სთანთი უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით გამომუშავებულ მედიას, კამპანიის შესახებ გაიგებს სრულიად საქართველო და პრობლემა პირველ პლანზე წამოიწევა

- ქარველი გულშემატკივრები გამოფხიზლდებიან, გაერთიანდებიან ისეთი მნიშვნელოვანი CAUSE-ის გარშემო როგორიც დინამოს სტადიონია, იგრძნობენ გულშემატკივრობისთვის დამახასიათებელ ერთსულოვნებას და მოუნდებათ ყოველ მატჩზე გამოსცადონ იგივე.

- სტადიონის გავსების "გამოწვევა" დაეხმარებათ გახდნენ პროცესის პირადი მონაწილენი და მათ მიერ შეტანილი წვლილის მნიშვნელობა გაიაზრონ